

ნატა ბერძული
დოქტორანტი
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო

ნარატივის ფუნქცია კოტე ჯანდიერის *მაცვლიანში*

თეზისები: ნარატივი სხვადასხვა ფუნქციით გამოიყენებოდა ცალკეულ ლიტერატურულ მიმდინარეობაში, მაგრამ მას განსაკუთრებული ფუნქცია დაეკისრა პოსტმოდერნიზმში, რადგან ამ მიმდინარეობამ ბევრი ლიტერატურული ხერხი ახლებურად და განსხვავებული ფუნქციით მოიმარჯვა.

ისტორიული სინამდვილე მუდმივად იყო მწერლობის აქტუალური თემა, ოღონდ პოსტმოდერნისტულმა ნარატივმა ახლებური დატვირთვა შეიძინა. მწერალი ცდილობს საკუთარი თხზულება საზოგადოების ყველა ფენას მოარგოს, „ძველი“ ახლად „აქციოს“, კარგად „შეფუთოს“ და ისე წარუდგინოს მკითხველს. მწერალი ითავსებს მემატიანის ფუნქციას, გვთავაზობს ნარატიულ თხრობით ტექსტს, რომლის მეშვეობითაც თანამედროვე ლიტერატურაში შემოაქვს პრინციპული სიახლე, ის რაც არ არსებობდა ადრინდელ ლიტერატურაში. ავტორი ითავსებს ისტორიკოსის ფუნქციებს, წერს მხატვრულ მონოლოგს და რეალურისა და ფანტაზიით შექმნილის შერწყმით გვთავაზობს ახალ რეალობას.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ასეთი მოდელით ნარატივი საკმაოდ ორიგინალურია კოტე ჯანდიერის თხზულებაში *მაცვლიანი*.

ისტორიულ ნარატივს ამოფარებული ქმნის ჯანდიერი თავის მოთხრობას. მწერალი ეყრდნობა *ქართლის ცხოვრებას* და იქცევა ნარატორად, ის მოგვითხრობს უფლის კვართის საქართველოში ჩამოტანის ამბავს. კოტე ჯანდიერი არ იწყებს ისტორიული ფაქტების წერას, არამედ შეგნებულად აუცხოებს ნარატივს, ნიღბავს სათქმელს, ცდილობს, სულ სხვა კუთხით დაგვანახოს საკითხი.

მაშასადამე, კოტე ჯანდიერის მოთხრობის *მაცვლიანის* განხილვისას ყურადსაღებია მწერლისეული ნარატივის

(თხრობის) სპეციფიკურობა და ასევე კომპოზიციური დეტალების გაანალიზება ნარატოლოგიური თვალსაზრისით. საბოლოოდ კი ვასკვნით, რომ *მაყვლიანში* ნარატივი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენება, ერთი, როგორც თხრობითი ფორმა ტექსტისა, მეორე, ავტორი ნარატიულ მასალას იყენებს ისტორიიდან, და მესამე, როცა ავტორი ნარატიულ მასალას იღებს ლიტერატურიდან და უკვე კარგად ნაცნობ ფაქტებს სხვა თვალთ დაგვანახვებს. ავტორი ითავსებს მემატიანის ფუნქციებს და დასკვნის გამოტანას მკითხველს ანდობს. მწერალი „აყალბებს“ ფაქტებს და ქმნის ტიპურ პოსტმოდერნისტულ ტექსტს.

საკვანძო სიტყვები: ნარატივი, პოსტმოდერნიზმი, პოსტმოდერნისტული ტრავესტირება, ალუზია, ირონია, მეტატექსტი

Abstract: The usage of narration is defined by different functions in certain fields of literature. It gained the significant function in postmodernism period, whereas many literal strategies were renovated and used differently.

As historical truth was constantly used by authors, postmodern narratives acquired innovatory function: “Author tries to adjust the narration to all levels of society, to renovate so called “old” and “wrap” before presenting it to the society”. The writer comprises the historian functions, writes fictional monologues and offers new reality by mixing reality and imagination.

In modern Georgian writing the given type of fictional narrative is quite original, especially in Kote Jandieri’s writing *Makvliani*. The author describes the delivering of the Seamless Robes of Jesus in Georgia and transforms historical facts, based on *Kartlis tskhovreba*, into fictional narratives.

While discussing Kote Jandieri’s writing, the writer’s specificity of narration and analysis of compositional details are highlighted. According to final analysis, narratives in *Makvliani* can be interpreted in different ways. First, the narrative form of text, second, the narrative materials used from historical sources and third the narrative materials used from literature with different point of view. The writer comprises the function of chronicler and lets the reader to make conclusions, thus creating typical postmodernist text.

Keywords: Narration, Postmodernism, Postmodern Play, Allusion, Irony, Metatext

მწერლობა იმ კარის გასაღებია, რომლის მიღმაც იდუმალი და შეუცნობელი სამყაროა და რომლის შესწავლის შემდეგ ადამიანს შეეძლება, განიცადოს რამდენიმე სიცოცხლე, უყვარდეს რამდენჯერმე და მოკვდეს სხვადასხვა სიკვდილით... მწერალს აქვს არაჩვეულებრივი შესაძლებლობა მკითხველი დროსა და სივრცეში ამოგზაუროს, გადაუშალოს წარსულიცა და მომავალიც, შეაგრძნობინოს არნახულის ხიბლი და საკუთარ წარმოსახვაში გაჩენილი სახეები ახლობლად და დაუვიწყარად აქციოს.

„მწერლობა გმირობის გამოსარჩლებია, მხოლოდ მიჩქმალული გმირობის ქომაგია მწერალი და სხვა არაფერიო,“ – წერდა დიდოსტატის მარჯვენაში კონსტანტინე გამსახურდია. სწორედ, მწერლის სიტყვას შეუძლია ცხადად, ხატოვნად წარმოგვიდგინოს ის, რაც მემატთანეებისთვის ისტორიული ფაქტია, მშრალი სტატისტიკაა, რაც არც კი გამხდარა ფოლიანტებში შეტანის ღირსი, მაგრამ მწერლის წყალობით გაცოცხლებულა, გამოსულა დავიწყების ბურუსიდან და მკითხველის გონებასა და გრძნობაში უპოვია ადგილი.

ლიტერატურისათვის ზოგადად ერთი „ჩვევა“ დამახასიათებელი, ის მუდმივად ერთსა და იმავე თემებს უტრიალებს, რადგან კაცობრიობის სხვადასხვა ეპოქაში პრობლემა თითქოს არ იცვლება და იგივე რჩება, რადგან ადამიანებს ახასიათებთ ერთი და იგივე თვისებები, ოღონდ დროის მიხედვით სახეცვლილი. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ მწერლობა მარადიულად უბრუნდება მნიშვნელოვან საკითხებს, თუმცა ახლებური გამოსახვის საშუალებებით. წარსული ეპოქების კულტურული გამოცდილება, ძველი მწერლობა ერთგვარ საყრდენს წარმოადგენს თანამედროვე ავტორებისთვის. ისინი იყენებენ ძველს, თუმცა „განახლებითა“ და „გადაფასებით“ გვთავაზობენ ახალ, ორიგინალურ ვერსიას. კვლავბრუნვით ახალ სიცოცხლეს აძლევენ დავიწყებულ სახეებს და ამკვიდრებენ თანამედროვე ხელოვნებაში. ამ მხრივ ნარატივის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქცია აკისრია.

ნარატოლოგია დიდი ხნის წინ ჩამოყალიბდა და ძირითადად მისი კვლევის საგანი თხრობის ფუნდამენტალური პრინციპების კვლევაა. ის იმდენად ძველია, რომ წარმოდგენები მის სტრუქტურაზე ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში შემუშავდა. ტერმინ „ნარატივის“ ეტიმოლოგიას თუ ჩავუღრმავდებით, ის ლათინურიდან მომდინარეობს და თხრობას ნიშნავს. ეს ტერმინი როლან ბარტის, კლოდ ბრემონის, ცვეტან ტოდოროვის და სხვათა ნოვატორული ნაშრომების შედეგად შემოვიდა ლიტერატურისმცოდნეობაში. მეოცე საუკუნეში უამრავი

თეორია შეიქმნა ნარატივის შესახებ და მეოცე საუკუნეშივე დადგინდა ნარატოლოგიის ძირითადი ანალიტიკური კომპონენტები – სიუჟეტი, ხმა, ღრო, თვალთახედვა, პერსონაჟი, როლი.

თანამედროვე ნარატოლოგიას თავისი ყურადღება ყველაზე მეტად მაინც გამონაგონზე გადააქვს. მწერალი ცდილობს ნარაციის წყალობით მკითხველი ჩართოს თამაშში, რომელიც სამი თვალსაზრისით ხორციელდება, ესაა პროცესის თვალსაზრისი, ანუ ავტორი მოგვითხრობს ამბავს, ობიექტის თვალსაზრისით, მოვლენები ვითარდება ისე, რომ ჩვენ თავადვე ვხდებით ავტორი და სინთეტიკური თვალსაზრისით, როცა ზემოთ ნახსენები ორივე თვალსაზრისი სინთეზირებულია.

დღეს ერთ-ერთი უმთავრესი ტენდენცია ნარატოლოგიის განვითარებაში არის გადასვლა „კლასიკური ვერსიიდან“ „თანამედროვე“ ვერსიაზე. თუ კლასიკური ნარატოლოგია ძირითად აქცენტს სიუჟეტზე აკეთებდა, თანამედროვე ნარატოლოგიისათვის მნიშვნელოვანია „თემა“. თანამედროვე მწერალი იღებს უკვე კარგად ნაცნობ ისტორიულად და ლიტერატურულად დამუშავებულ ამბავს და საკუთარ შემოქმედებით ლაბორატორიაში თითქოს ექსპერიმენტს ატარებს მასზე, რადგან ამბავი აღებულია როგორც თავისთავადი თემა, ხოლო მწერალი ქმნის მის პოსტმოდერნისტულ ვერსიას და ამას აკათებს სწორედ ნარატივის მრავალფუნქციური გამოყენებით.

ნარატივი პოსტმოდერნისტული მიმდინარეობის მახასიათებლად შეგვიძლია ჩავთვალოთ, რადგან ნარატიული წყაროები პოსტმოდერნიზმში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იღებს და ერთგვარად ამ მიმდინარეობის მახასიათებლადაც შეიძლება მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში ნარატივის ორი სახე შეიძლება გამოიყოს: ერთი, თხრობითი ფორმა ტექსტისა და მეორე ავტორის მიერ ნარატიული მასალის გამოყენება ისტორიიდან და წარსულიდან.

პოსტმოდერნიზმის ერთ-ერთ ძირითად საყრდენს წარსული ეპოქების კულტურული გამოცდილება წარმოადგენს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველი მწერლობა და ლიტერატურისათვის დამახასიათებელი მოძველებული თემები პოსტმოდერნისტი მწერლისთვის საძირკველია. ისტორიულ, ლიტერატურულ ამბებსა და პერსონაჟებზე დაყრდნობით სრულიად ახალი კუთხით წარმოგვიჩინოს ახალი პრობლემა, აი, ესაა პოსტმოდერნისტი მწერლის გამარჯვება. ამ შემთხვევაში ჩვენ, მკითხველს ნაწარმოების სახით გვაქვს კარგად „შეფუთული ინტრიგა“, ინტერესი იმისა, თუ რა უნდა ითქვას ახალი. ასეთ ნაწარმოებში ნარაცია ისე საინტერესოდ და მომნიშობლავადაა წარმართული, რომ სულ აღარ გვანტერესებს მწერალი „აყალბებს“ თუ არა ისტორიულ ფაქტებს, ისტორიაში იყო კი ასე, როგორც მწერალი

გვეუბნება?! როგორც ვიცით, მწერალი ცდილობს, უკვე ნაცნობი მასალა რაც შეიძლება მიმზიდველად შეფუთოს და როგორც სიახლე ისე წარუდგინოს მკითხველს.

თანამედროვე ქართულ მწერლობაში ასეთი მოდელით ნარატივი საკმაოდ ორიგინალურია კოტე ჯანდიერის მოთხრობაში *მაცელიანი*.

კოტე ჯანდიერი იმ იშვიათ მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, ელიტარულიც რომ არის და პოპულარულიც. არსებითად და ქრონოლოგიურადაც იგი ე.წ. „ოთხმოცდაათიანელების“ ერთი ლიდერთაგანია. კოტე ჯანდიერი არაფერს არ ალამაზებს, მაგრამ არც ამახინჯებს. შესანიშნავი მთხრობელის ნიჭის გარდა, მას უხვად აქვს მომადლებული მალალმხატვრული გემოვნება და საოცარი ალღო. (ავალიანი, *ინტერტექსტუალიზაციისათვის* 2005)

ნარატოლოგიის არსს დახასიათების საფუძვლად ვუდებთ კონკრეტული მწერლის, კერძოდ, კოტე ჯანდიერის, *მაცელიანში* ნარატივის რამდენიმე სპეციფიკური ნიშნის გამოკვეთას.

კოტე ჯანდიერის თხზულების ძირითადი კომპოზიციური ერთეული ავტორისეული თხრობაა. მიუხედავად იმისა, რომ თხრობის სისტემაში ჩართულია პერსონაჟთა პირდაპირი მეტყველება – მონოლოგები და დიალოგები – ნაწარმოების ძირითადი არსი, შინაარსი გადმოცემულია სწორედ ავტორისეული მსჯელობით, მის მიერ პერსონაჟთა სიტუაციათა თუ ამბავთა აღწერა-გადმოტანით.

ავტორი, რომელიც აქტიური „მთხრობელია“, არის შუამავალი რგოლი მკითხველსა და პერსონაჟს შორის. ავტორი ჩვენ გვანდობს გარკვეული დასკვნების გამოტანას. ამასთანავე, ჩვენ ვხდებით ერთ-ერთი რიგითი პერსონაჟი.

ისტორიულ ნარატივს ამოფარებული ქმნის ჯანდიერი თავის თხზულებას. მწერალი ეყრდნობა *ქართლის ცხოვრებას* და იქცევა ნარატორად, ის მოგვითხრობს უფლის კვართის საქართველოში ჩამოტანის ამბავს. კოტე ჯანდიერი არ იწყებს ისტორიული ფაქტების წერას, არამედ შეგნებულად აუცხოებს ნარატივს, ნიღბავს სათქმელს, ცდილობს, სულ სხვა კუთხით დაგვანახოს საკითხი, განგებ ნიღბავს უცნობი, საეჭვო წარმოშობის ნაყალბევი მანუსკრიპტით, რომ მკითხველი დაინტერესოს. ფაქტობრივად, მწერალი ქმნის თხრობით დისკურსს, რომელშიც ამბავი თითქოს უკვე „თავისთავადი თხრობაა“. თავად ავტორი კი საკუთარი რეფლექსიით აუცხოებს ნარატივს და პოსტმოდერნიზმის ლოკალში აქცევს, რადგან ამ მიმდინარეობისთვის ერთ-ერთი მახასიათებელი დაეჭვებაა, მწერალი განგებ და უტრირებულად აფიქსირებს საკუთარ პოზიციას და თითქოს განზე დგება იმისაგან, რასაც ქმნის, რადგან საკუთარ ნაღვაწს მიაწერს უცნობ ავტორს:

Fondements philosophiques de la littérature.

მე ახლა დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ხელნაწერი შესრულებულია თხელ, ხელოვნურად დაძველებულ ქაღალდზე შავი ფერის მელნით. ალაგ-ალაგ მელანი იმდენად უფერულია, რომ ზოგი აბზაცის და ცალკეული სიტყვის ამოკითხვა არ ხდება. წარწერა თავფურცელზე და საზედაო ასოები სინგურით არის გამოყვანილი. არც თხზულების სათაური და არც ავტორის სახელი ჩვენთვის ხელმისაწვდომ არცერთ კატალოგში არ დასტურდება. (მაყვლიანი 13)

ეს ერთგვარი გაუცხოებაა და ასეთი ხერხი უცხო არ არის ქართული მწერლობისათვის. თუნდაც, გავიხსენოთ რუსთაველის „ესე ამბავი სპარსული“, ეს ფრაზა ქართულ ლიტერატურისმცოდნეობაში ახსნილია როგორც სათქმელის შეგნებულად შენიღბვა, გაუცხოება. შეიძლება ვთქვათ, რომ კოტე ჯანდიერიც იმავეს აკეთებს, თუმცა ამ შემთხვევაში ლიტერატურული ხერხი ექცევა პოსტმოდერნიზმის ლოკალში, რადგან მას ემატება დაეჭვება, შემოთავაზებული ტექსტი მწერლის მიერაა დაწერილი, თუ მართლაც ნაყალბევი მანუსკრიპტიდანაა.

ასეთი დასკვნის გაკეთებას ავტორი იმით ამართლებს, რომ გაუცხოების ხერხი მისი მოგონილი არ არის და მას, როგორც ლიტერატურულ მანერას, ადრეულ ნაწერებში ვხვდებით. ავტორი ერთგვარ გადაძახილს გვთავაზობს ძველ ეპოქათა ავტორებთან, ცდილობს თავისი თხზულება გაუცხოების ეფექტით არაორიგინალურად წარმოადგინოს და აკვლევინოს მკითხველს, რამდენად უტყუარია მასში მოთხრობილი ამბავი და რომელ ნარატიულ წყაროს ეფუძნება. არის ის ისეთივე, როგორც ქართულ ცნობიერებაშია დამკვიდრებული ქართლის ცხოვრების მიხედვით, თუ მის გარდა კიდევ შეიცავს რაიმე ახალსა და უცხოს. (კიკვიძე, მწერალი, მეტატექსტი და პოსტმოდერნისტული თამაშები 94)

სქემატური და თითქოს მოდელირებულია მოთხრობის შესავალი – მისტიფიკაცია:

ავტორს (სავარაუდოდ, საფრანგეთში ემიგრირებულს) ხელში ჩავარდნია ლათინური ნაყალბევი ხელნაწერი, შესრულებული ხელოვნურად დაძველებულ ქაღალდზე; როგორც ჩანს, ის გვიანდელი ლათინური მანუსკრიპტების იმიტაციაა. თხზულების სათაური და ავტორი არც ერთ კატალოგში არ მოიხსენიება: „ელიოზ მცხეთელის ვნებანი“ – აღწერილი XI საუკუნეში ათონის მთის ბერის, ილარიონ ალაზნელისაგან და ლათინურად ნათარგმანები წმინდა სამების ეკლესიის მღვდლის, კალისტრატე ეპიგეოსის (მიწადგანრთხმულის) მიერ, 1209 წელს ქალაქ ტიროსს. (მაყვლიანი 4)

ნაწარმოებში წარმოდგენილი ხელნაწერი მეტად ბურუსითაა მოცული, მისი მფლობელია ვინმე პროკლე ჭკადუა, ეროვნებით ქართველი (დაბადების წელი და ადგილი უცნობი დარჩა). ოცდაორი წლის მოტლანდიელი მოწყალების დის, ელის ბრენდანის დღიურმა ჩანაწერი შემოინახა, სადაც ეწერა, რომ ტიფმა იმსხვერპლა კიდევ ერთი ავადმყოფი პროკლე ჭკადუა, ავადმყოფს თან ახლდა იშვიათი სილამაზის ჩერქეზი ქალი „მადამ ფალესტრა“. მიცვალებულის ნივთები პარიზის ქართულ სათვისტომოს გადასცეს და ნივთებში იყო ლათინური ხელნაწერიც. პოლკოვნიკი ჭავჭავანიძე ჭრილობების სამკურნალოდ იმყოფებოდა საფრანგეთში და ხელში ჩაუვარდა მანუსკრიპტი. ჭავჭავანიძეს წარმოდგენა არ ქონდა არაფერზე, მაგრამ მიხვდა, რომ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს ხელნაწერი. – აქ შეგვიძლია ნარაცია შევაჩეროთ და ვიმსჯელოთ რა გააკეთა მწერალმა?! ანუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მწერალმა შეგნებულად გააუცხოვა ნარატივი, შენიღბა სათქმელი, გააბუნდოვანა და ლაბირინთის სახით წარმოგვიდგინა, უფრო კარგად რომ ვთქვათ, ინტრიგა შემოგვიგდო, ჩვენ მკითხველი, დაგვანტერესა, თუ რა არის ეს ხელნაწერი, რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი, რა დატვირთვა უნდა ჰქონდეს ნაწარმოებში? პასუხიც შეგვიძლია გავცეთ ამ შეკითხვებს, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, სწორედ ესაა პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ხერხი, სიუჟეტის გაბუნდოვანება, ანუ, პოსტმოდერნისტული ნარატივისათვის მნიშვნელოვანია ტექსტის თხრობითი ფორმა, როცა ავტორი გვიყვება ამბავს და არ აღწერს მოქმედებას, პერსონაჟები არ არიან მთავარი თხრობაში, ავტორია მთავარი, რომელიც იყენებს ნარატიულ მასალას ისტორიიდან, წარსულიდან და სულაც არ არის სავალდებულო, რომ ეს მასალა ისტორიული წყარო იყოს. ამ ნაწარმოებშიც ასეა. ავტორი ხელნაწერზე გვეუბნება, რომ ის ხელოვნურად დაძველებულ ფურცელზეა შესრულებული, მაგრამ შემდეგ ამბობს, რომ ტექსტი შესრულებული უნდა იყოს 1922 და 1993 წლებს შორის.

თხზულების ამოსავალია *წმინდა ნინოს ცხოვრების* (ჩვენამდე მოღწეულია ხუთი რედაქცია, დათარიღებული IX-XIII სს.) ერთი ფრაგმენტი, უმნიშვნელოვანესი ქართული ქრისტიანული რწმენისათვის: ჰურიათა თემის მიერ მცხეთელი ებრაელი ელიოზის წარგზავნა იერუსალიმს, მაცხოვრის ჯვარცმის ხილვა, უფლის კვართის მცხეთაში ჩამოტანა, მისი გადაცემა ღვთისმომშიში დისათვის, სიდონიასათვის, რომელმაც „დაიდვა მკერდსა“ კვართი უფლისა და იქვე აღესრულა.

მამინ სჯულის მეცნიერთა მათ გამოარჩიეს ელიოზ მღვდელი, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და წარგზავნეს იერუსალიმს.

...და კვალად და იგი მისი ვითარცა მისცემდა მოკითხვასა, ჰრქვა:

Fondements philosophiques de la littérature.

– ძმაო სასურველო! ღირს იქმნები შენ ხილვასა კაცისა მის მართლისასა, რომელსა ჰქვიან იესუ. და ნეტარ ხარ შენ და გევედრები მე, რათა რასაცა შეხებულყვნენ ხელნი მისნი წმიდანი, ანუ თუ სამოსელთა მისთა შეხებულყვნენ, უკეთუ მოიტანო, ნეტარ ვიყვნეთ.

...და ვითარცა მიიწია იერუსალემს, შეკრებულყო ერთი ჰურიათად და დაემტკიცა ჯვარცმად ქრისტესი. ხოლო არასადა ეზიარა განზრახვასა მათსა, არამედ შორს დგა იგი.

...ხოლო ვითარცა აღესრულა ნეფისითი ვნებად მაცხოვრისად, მიხვდა წილითა კვართი უფლისა ჩვენისა ელიოზს, ვითარცა წერილ არს: „განიყვეს სამოსელი ჩემი და კვართსა ჩემსა ზედა განიგდეს წილი“.

...ამისა შემდგომად წარმოვიდა ელიოზ იერუსალემით სახედ თვისად. და და იგი მისი მიეგება და მოეხვია ქედსა. ხოლო ელიოზ გამოილო კვართი იგი საუფლო და მისცა მას და ჰრქვა:

– აჰა, რომლისა-იგი გსუროდა, მიიღე კვართი მისი!

ხოლო ვითარცა მიიღო დედაკაცმან მან კვართი იგი უფლისა, რამეთუ შეეცვილ იყო იგი, და იმთხვია რა პირსა და დაიდვა მკერდსა და ხმა ყო ცრემლით და აღმოუტევა სული.

...ხოლო ელიოზ შიშითა შეპყრობილმან და იგი საყვარელი და წმიდა კვართითურთ დაჰკრძალა მიწასა შინა. და მეყსეულად აღმოხდეს მის ზედა ხენი იგი კვიპაროზნი და აღმოეცენა ხესა მას ქვეშე ყვავილი მრავალფერი და სულნელი.“ (უცნობი ავტორი, *ნინოს ცხოვრება 180-181*).

უკვე გასაგებია თუ რას დაეყრდნო ავტორი, ანუ რომელი ლიტერატურული ფაქტი დაუდო საფუძვლად თავის ნაწარმოებს, თუმცა, ეს ყველაფერი პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი საბურველით შემოსა და ისე წარმოგვიდგინა. კოტე ჯანდიერი *მაყვლიანში* წერს, რომ ებრაელ ვაჭარ ზენონს ორი შვილი ჰყავდა, უფროსი სიდონია და უმცროსი – ელიოზი. ელიოზს დედობას და უწევდა. სიდონიამ ასწავლა მას ანგარიში, აგრეთვე დამწერლობა ებრაული და არამეული. ისინი დადიოდნენ მტკვრის პირას მაყვლიანში და კითხულობდნენ წინასწარმეტყველთა წიგნებს, იცავდნენ შაბათს და მსხვერპლსაც დროულად წირავდნენ. მოვიდა დრო ელიოზის გამგზავრებისა იერუსალიმში. ის წაიყვანა ზენონის ძმამ ზებულონმა. თუმცა სიდონიას ელიოზთან განშორება უძნელდებოდა. ნარაცია საინტერესოდ მიმდინარეობს, ავტორი ცდილობს ჩვენს დაინტერესებას, უკვე მიმართავს ლიტერატურულ ნარატივს, იგონებს დეტალებს, რომლებიც „არ მომხდარა, მაგრამ შეიძლებოდა, მომხდარიყო“. კოტე ჯანდიერის გმირი ელიოზი განსხვავდება იმ ელიოზისგან,

რომელსაც ჩვენ წმინდა ნინოს ცხოვრებიდან ვიცნობთ. მართალია, ის თავდაპირველად ღვთისმოშიშა და სიმართლის მთქმელი, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს... „ზებულონის ძეთ შემურდათ დიდი შურით და გულში ავი ჩაიდეს ელიოზის მიმართ, რადგან იფიქრეს, ეს, ველური ქვეყნიდან მოსული ბიძისშვილი ჩვენს თავს ურჩევნია და, ემანდ ჩვენი სამემკვიდრო ოთხად არ გაყოს სამის მაგიერო“ (მაყვლიანი 22) – ამიტომ მახე დაუგეს. ელიოზი სეზიასთან შეაგზავნეს. ეს იყო ქვრივი ქალი, რომელმაც ელიოზი მოაჯადოვა.

ნაწარმოებში ავტორი მიმართავს ალუზიასაც, ანუ ესაა პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი ხერხი, როდესაც ავტორი სეზიას ბალს აღწერს, ჩვენ გვახსენდება ბიბლია, კერძოდ, ადამი და ევა, სამოთხე, რომელიც უფალმა შეუქმნა მათ.

ხოლო სეზიას ბალი იყო გამორჩეული კაპერნაუმის ბაღებს შორის. უფრო სრულქმნილი არაფერი ენახა იქამდე ელიოზის თვალს. სურნელოვანი ლიმონის, ლიბანური კედრისა და დარიჩინის ხის კორომები გვერდიგვერდ ხარობდნენ. დარდილული ტერასები, მსგავსად ვეება კიბის საფეხურებისა, ეშვებოდნენ გალილეის ზღვისაკენ, სადაც ქვიშიან ნაპირზე ნაზი იალღუნები ყვაოდნენ და ტკბილ სურნელებას აფრქვევდნენ წარმტაც სანახებს, სუროთი დაბურულ, მოჩრდილულ მღვიმეებს და ნატიფად ნაშენებ ფანჩატურებს. კეთილშობილი ლოტოსებით დაფარული არხების ნაპირებზე კი ცეცხლოვანი ყვავილებით გადაპენტილი ჯამბუს ხეები ხარობდნენ. საღამოს სიო არხევედა ტანკენარი პალმების ტოტებს და პაპირუსებს, მრავალრიცხოვან წყაროთა ირგვლივ. ჩამავალი მზის უკანასკნელი სხივები ელვარებდნენ შადრევნების გამჭვირვალე ჭავლებსა და მარმარილოს აუზების მოსარკულ ზედაპირებზე. (მაყვლიანი 28)

ამ მცირე ეპიზოდის ვრცელი აპოკრიფია *მაყვლიანი* – ავტორის წიგნიერების, წარმოსახვისა და უნატიფესი, შთამბეჭდავი მეტყველებითი სტილის ნაზავი. კოტე ჯანდიერი არ ზღუდავს ფანტაზიას, მისი გმირის მრავალწლიანი ყარიბობის ტრაგიკული პერიპეტეები (ძლიერ რომ გვაგონებს ძე შეცდომილის განვრცობილ თავგადასავალსაც და წმინდანთა ცღუნებებსაც), „ზოგადადმოსავლური“ ანტურაჟი, დიდი ცოდვილის დიდი სიმძიმეილი, ხორცის გვემა და სულის უსამანო სატანჯველი, – ყოველივე ეს მაინც ქართლის მოქცევის ზემოხსენებული ამბის ჩარჩოშია მოქცეული.

ზედმეტად მიმაჩნია ყველა იმ „შეუსაბამობის“ აღნუსხვა, რითაც *მაყვლიანი* ემიჯნება პირველწყაროს. მხოლოდ ზოგიერთს წარმოგიდგენთ სანიმუშოდ: ელიოზი პატივცემული მღვდელი კი არაა, რომელსაც მცხეთელ ჰურიათა თემი საგანგებოდ წარგზავნის

იერუსალიმს მესიის საქმეთა გასაგებად, არამედ ვაჭარ ზენონის შვილია, ბიძამ (ზებულონმა) 17 წლის ასაკში რომ იშვილა და იერუსალიმს წაიყვანა სამართლის შესასწავლად. ზებულონის მომუხრე შვილებმა მისი შეცდენა და დაღუპვა განიზრახეს (შდრ.: იოსები და ძმანი მისნი), კაპერნაუმელი მდიდარი ქვრივის ინდოელი სებას მეშვეობით (სებას სილამაზის აღწერა ელიოზის მიერ „ქებათა ქებას“ გვაგონებს, ქალის მონათხრობი ჯატაკა – ძველ ინდურ იგავებს), ბავშვობის მოგონებამ – ჩაბურღული მაცვლიანისა და სიდონიას მაცვალივით შავი თვალების ანაზღეულმა ხილვამ – იხსნა ელიოზი მრუშობისაგან, მაგრამ გლადიატორთა შერკინებაზე ბიძაშვილების მიერ ძალით წაყვანილმა – „შესვა მძვინვარების ღვინო, ...დატკბა ცოდვის ცქერით“ და სულ მალე მემთვრალეობასა და ბილწ ცხოვრებას მიეცა.

ელიოზი კი ახლა უკვე თვითონ ეძებდა თანამგზავრს, თვითონაც აიძულებდა სხვებს, სისხლისთვის ეცქირათ. გაოფლილი და აღგზნებული მისი სხეული მოითხოვდა გაგრილებას. ამიტომაც მოეძალა ღვინის სმის სურვილი. არ დაეზარათ ბიძაშვილებს, მოატარეს ყველა დახლი და ფუნდუკი და შეახვედრეს ბახუსის ქურუმს. ელიოზი უკვე ყველა მემთვრალესა და გარეწარს იცნობდა ქალაქში. აღარც სავაჭრო სახლი ახსოვდა და აღარც ლიცეუმი. განუხრელად ეცემოდა დაბლა და ბოლოს, სებასაგან უბიწოდ გამოსული, იერუსალემელი მეძავის სარეცელზე დასცა ზარხოშმა. ასე ვიდოდენ იმისი დღენი სიძვაში, ნაყროვანებასა და მემთვრალეობაში. ხოლო დაცემა მისი იყო ისევე სრული, როგორც ადრინდელი მისი ღვთისმოსიშობა. (მაცვლიანი 36)

ამის შემდეგაც ავტორი განაგებს თხრობის მდინარებას და იყენებს ნარატიულ მასალას რელიგიიდან, კერძოდ, ბიბლიიდან. ლოთობისაგან დაგლახანებული ელიოზი ერთ-ერთი ფუნდუკიდან გამოდის და დანახავს სუსტ, ნაგვემ კაცს, რომელიც მოათრევდა ვეება ჯვარს და ელიოზს სთხოვა, გზა დაეთმო, მაგრამ ელიოზმა უხეშად მიუგო მას. მაშინ მან დაწყევლა ელიოზი:

ამიერიდან ამაოდ დაუწყებ ძებნას სიმშვიდესა და ვერ იპოვი, ეჭვი და ქენჯნა დაგისნეულებს სულს და არ იქნება ქვეყნად მკურნალი, სიკვდილს ინატრებ, მაგრამ გაგექცევა სიკვდილი, სანამ მალალი ხე არ ატირდება უკვდავების ცრემლებით და მაცოცხლებელი მირონი არ ჩამოდინდება მის ტანზე, რადგან სიკვდილად მიმავალმა ღვთისშვილმა გზა გთხოვა და შენ არ დაუთმე შეჭირვებულს! (მაცვლიანი 37)

აქ, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ მწერალს გამოყენებული აქვს პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ალუზია. ამ მონაკვეთის

წაკითხვისას გვახსენდება სახარება და კერძოდ, ქრისტეს ჯვარცმა, ელიოზი თითქოს იუდაა, ქრისტეს გამყიდველი და მოღალატე.

მაყვლიანის ელიოზი არა მარტო ცოდვილია, არამედ მაცხოვრის მიერ დაწყევლილიცაა, მაგრამ როდესაც მონანიების სურვილი გაჩნდება მის სულში, ელიოზი დაეწაფება ცოდნას, რომელიც მაღამოდ უნდა მოეფინოს მის სულს.

ელიოზის სწეული სული, ძრწოლით შეპყრობილი, ამაოდ ეძიებს შვებას: არც ქრისტეს მოძღვრების შემეცნება, არც მარხვა-გვემა და ლოცვა-ვედრება აღმოჩნდება საკმარისი შენდობისათვის. მოძღვარი ელიაკიმი, მას, წყეულ ცოდვილს, უფლის კვართს გადასცემს და ეტყვის, რომ არ არსებობს ქვეყანაზე ცოდვა, რომლის მიტევებაც უფალს არ შეეძლოს. მთავარია გულწრფელი მონანიება. ამგვარი ქრისტიანული თანაღმობით შეძრული ელიოზი უდაბნოში განდგომას ირჩევს. თუმც იშვიათი მგზავრები მას წმინდა კაცად მიიჩნევენ, ელიოზი კვლავ ლოცვასა და ხორცის დათრგუნვაში ატარებს წლებს. (ავალიანი, *op. cit.* 3)

შეგვიძლია ვთქვათ, რომ თითქმის მთელი ნაწარმოები ალუზირებულია. ამ მონაკვეთის წაკითხვისას არ შეიძლება ილია ჭავჭავაძის განდევილი არ გაგვახსენდეს. ალუზია ესაა გადაკვრით ხსენება რაიმე ისტორიული ფაქტის, ან ლიტერატურული ნაწარმოების. აქაც ასეა, ილიას განდევილისთვისაც ყოველი წელი და ყოველი თვე ერთმანეთს ჰგავს, დანანებით იგონებს წარსულ დროს, როგორც ელიოზი.

ელიოზი მიტევებას ელოდა და ამ ლოდინში გადიოდა დრო, და აი, მის მხსნელად გამოჩნდება მაყვლიანი. ეს უკვე მეორედ, ერთხელ მაშინ იხსნა მაყვლიანმა ელიოზი, როდესაც სებას ცდუნება ძლიერი იყო, ახლა მეორედ გამოჩნდა ეს „წმინდა მცენარე“. უდაბნოს პირას, მაყვლიანში, გველისგან მონუსხული პატარა გოგონას გადარჩენის სურვილი გარინდებიდან გამოიყვანს ელიოზს და ცოდვასაც ჩაადენინებს. გველის მოკვლისა და გოგონას ხსნის სანაცვლოდ (გოგონა სიდონიას სენია აღმოჩნდება) ელიოზს გონების თვალი გაუნათდება და პირველად ჩაესახება იმედი:

„სიდონია, სიდონია“, ტკბილ-მწარე გრძნობით ავსებდა ეს სახელი. ...უცებ მშვიდი მტკვარი გაახსენდა, იქაური მაყვლიანი და სიდონიას მტკვარით მშვიდი, რბილი ხმა. ...აქ რა უნდოდა? ან რისთვის მოვიდა? უწყალო ღმერთისაგან დავიწყებული, ეჭვებით დასწეულებული და ბნელში მყოფი? ცა არ ინდობდა, იქნებ მშობელ მიწას მაინც ეცხო სალბუნი მისი სულისათვის. ...ელიოზი წამოდგა, მღვიმეში შევიდა, უფლის კვართი მოიხვია წელზე და გზას გაუდგა. რა მიჰქონდა თან? კვართი უფლისა, რომელიც

Fondements philosophiques de la littérature.

ჟამთა სვლისაგან გახუნებულიყო და ალაგ-ალაგ ჩრჩილისგან გაწყალებულიყო? სწავლება, რომელიც მასავით შესაძლოა არავინ იცოდა და რომლისაც სწამდა თუ არა, თვითონაც ვერ იტყოდა? ის მიდიოდა განსჯა-დანშული, მხოლოდ გულის ძახილს აყოლილი და სიყვარულის ხმას მინდობილი. (მაყვლიანი 47)

ფინალი ემთხვევა ნინოს ცხოვრების რედაქციებს, განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ელიოზი შენდობილია.

...სიდონია მაყვლიანში დაასაფლავეს. მეორმოცე დღეს მის საფლავზე უცხო და თვალწარმტაცი ხე აღმოცენდა. მის ტანს მირონი სდიოდა, მირონი კურნავდა სნეულთ, სვეტი სიცოცხლის მომნიჭებელი იყო, ეს იყო „სვეტიცხოვლისა“ და ელიოზი მიხვდა, რომ შენდობილი იყო ღვთისაგან (მაყვლიანი 52).

კრიტიკოსი ლალი ავალიანი წერს, რომ კოტე ჯანდიერის დამოკიდებულება ცნობილი სიუჟეტისადმი, ყველაზე უწინარეს, იოსებისა და მისი ძმების ავტორის, თომას მანის მბეჭდავი ქალის ცნობილ გამონათქვამს გვაგონებს, – ძლივს არ გავიგე, რა გარდახდა თავს იოსებ მშვენიერსო! (ავალიანი *op. cit.* 4). მართლაც, თუ ჩავუღრმავდებით, მივხვდებით, რომ ჯანდიერი არ ლაღატობს პოსტმოდერნიზმისათვის დამახასიათებელ ელემენტებს, შეგნებულად აუცხოვებს ნარატივს, რომ თხრობა საინტერესო იყოს და სხვა კუთხით დაგვანახვებს ჩვენთვის ისედაც კარგად ნაცნობ ფაქტებს ლიტერატურიდან და ისტორიიდან. ძირითადად ლიტერატურული ნარატივი ჯანდიერს წმინდა ნინოს ცხოვრებიდან აქვს აღებული, ასევე ბიბლიიდანაც, რელიგიური გავლენის ქვეშაა ნარაცია, ხოლო ისტორიული ნარატივი, ეს ქართლის ცხოვრებაა.

ამ ნაწარმოებში კოტე ჯანდიერი ექსპერიმენტს მიმართავს. ცდილობს გააუცხოვოს ჩვენთვის ნაცნობი ფაქტები, საბურველით შემოსოს, გააბუნდოვანოს და შემდეგ ჩვენ, მკითხველს გვაკვლევინოს, რამდენად უტყუარია მასში მოთხრობილი ამბავი და რომელ ნარატიულ წყაროს ეფუძნება.

საკმაოდ მნიშვნელოვანია კოტე ჯანდიერის მიერ გამოყენებული ერთი შტრიხი: ელიოზისათვის, რომელიც დიადი მისის მტვირთველია, სარწმუნოებაზე უპირატესია მშობელი მიწა. მხოლოდ სამშობლოში დაბრუნება ესალბუნება მის მტკივან სულს, მხოლოდ მცხეთაში იგრძნო მან „როგორ უყვარდა მთელი სამყარო განათლებული და გამთლიანებული სიყვარულის უსაზღვრო გრძნობით“ (მაყვლიანი 35)

მაყვლიანის ეპიგრაფში, რომელიც შეამზადებს მკითხველს თხზულების სულისკვეთების უკეთ აღსაქმელად, განყენებულ ფიქრსა და განსჯას მოყვასის მსახურება (ამ შემთხვევაში გოგონას გადარჩენა

და ძმის მომლოდინე სიდონიასათვის დანაპირების აღსრულება) აღემატება. ეპიგრაფის ავტორია ვივეკანანდა (1863-1902 წწ., ინდოელი ჰუმანისტი, რელიგიის რეფორმატორი, იოგი, ადვოკატი „უნივერსალური რელიგიისა“, რომელიც უპირველეს ფუნქციად ლატაკთა დახმარებას მიიჩნევდა): „...გადადე ვედანტას კითხვა, განსჯა და ფიქრი მომავალი ცხოვრებისათვის. ახლა კი, დაე სხეული თქვენი ემსახურებოდეს მოყვასს. მაშინ მე ვიტყვი, რომ თქვენ უქმად არ მოსულხართ ჩემთან“.

კოტე ჯანდიერის *მაყვლიანი* პოსტმოდერნიზმის იმ ელიტარულ ფრთას მიეკუთვნება, რომელიც ეროვნული თუ ზოგადად, ლიტერატურული ტრადიციისადმი „სერიოზულ-ირონიულ“ დამოკიდებულებას ავლენს, ხოლო მისი ტექსტი – „იმიტაცია“, მიმზიდველი თხრობის გარდა, მეტყველებითი სტილითაც სანიშუშოა და მისაბაძი, გარკვეული თვალსაზრისით, უნიკალურიც არის, – დღევანდელი თითქმის საყოველთაოდ დაკნინებულ-დამახინჯებული ქართულის ფონზე. (ავალიანი, *op. cit.* 11).

საბოლოოდ, შეგვიძლია კიდევ ერთხელ ვთქვათ, რომ კოტე ჯანდიერმა თავის პოსტმოდერნისტულ ნაწარმოებში ნარატივი რამდენიმე მნიშვნელობით გამოიყენა: ერთი, როგორც თხრობითი ფორმა ტექსტისა, ის თავად გვიყვება ამბავს, პერსონაჟები არ წარმართავენ თხრობის მდინარებას. მეორე, ავტორი ნარატიულ მასალას იყენებს ისტორიიდან, ანუ საქმე გვაქვს ისტორიულ ნარატივთან და ბოლოს, როცა ავტორი ნარატიულ მასალას იღებს ლიტერატურიდან და ჩვენთვის უკვე კარგად ნაცნობ ფაქტებს სხვაგვარად წარმოგვიდგენს. ავტორი ითავსებს მემატინის ფუნქციებს და დასკვნის გამოტანას ჩვენ გვანდობს. გარდა ისტორიული და ლიტერატურული ნარატივისა, ნაწარმოებში გვხვდება მხატვრული გამონაგონიც, მწერალი „აყალბებს“ ფაქტებს და ქმნის ტიპურ პოსტმოდერნისტულ ტექსტს.

ბიბლიოგრაფია

- ავალიანი, ლალი, „ინტერტექსტუალიზაციისათვის“, in *კრიტიკა* 2007, №2 თბილისი, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი www.nplg.gov.ge/.../library.exe?...2 (ნახვა 17 თებერვალი 2018).
- აბრამიშვილი, თამარ „კლასიკური ტექსტის რეკონსტრუქცია პოსტმოდერნისტულ ნარატივში“ „სტუდენტური კვლევები“ 2012, №1 e-learning.tsu.ge (ნახვა 17 თებერვალი 2018).
- გამსახურდია, კონსტანტინე, *დიდოსტატის მარჯვენა*, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა, 2015.
- იმნაიშვილი, ანუკი, „მე-20 საუკუნის 90-იან ი წლების პოსტსაბჭოთა თაობის ქართული პროზის პოსტმოდერნისტული ტენდენციები“, in

- სემიოტიკა, 2010, <https://semioticsjournal.wordpress.com/2010/09/.../> (ნახვა 17 დეკემბერი 2017).
- კიკვიძე, ზეინაბ, *პოსტმოდერნიზმი და ქართული ლიტერატურული დისკურსი*, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.
- კიკვიძე, ზეინაბ, „მწერალი, მეტატექსტი და პოსტმოდერნისტული თამაშები“, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება*, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010, გვ. 1-5.
- მახაჭაძე, შორენა, „ორ რეალობას შორის მოქცეული ცნობიერება (აკა მორჩილაძის “მორიდებული ზურმუხტისა” და ორჰან ფამუქის “თოვლის” მიხედვით), IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია *ენა და კულტურა*, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2017, გვ. 266-270.
- ნინოს ცხოვრება*, (უცნობი ავტორი, „ნინოს ცხოვრება“, „ძველი ქართული მოთხრობა“), თბილისი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1979.
- ქარუმიძე, ზურაბ, „პოსტსაბჭოთა საქართველო და პოსტმოდერნიზმი“, in საზოგადოებრივ ლიტერატურული ჟურნალი *არილი* demo.ge/index.php?do=full&id=814 (ნახვა 17 დეკემბერი 2017).
- ჯანდიერი, კოტე, „მაყვლიანი“, in *გლობალიზაცია*, თბილისი, გამომცემლობა პალიტრა, 2010 გვ. 129-168.
- წიფურია, ბელა, *პოსტმოდერნიზმი, ლიტერატურის თეორია*, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2006.
- ხარბედა, მალხაზ, *ნარატოლოგია, ლიტერატურის თეორია XX საუკუნის ძირითადი მეთოდოლოგიური კონცეფციები და მიმდინარეობები*, თბილისი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2008.